



### წა სეტრე ჴერუსალცმელი

#### ჲოპისათჲს უფლისა ჩჲენისა ჴესჲ ჴრისტჲს\*

იცინი ფასის-მოყუარეთაგან ვაჭარნი, რომელნი მრავალ-გზის ზღუასა შევიდიან და ჰაერთაგან ბოროტთა ღელვათა აღძრულთა შორის დაეპყრნიან, ხოლო რაჟამს სხუათა ვიეთმე მიენნიან, ფრიად შეასმენედ თჳსსა მას ორგულეზით უგუნურებასა და ზედასზედა აბრალებედ თავთაცა თჳსთა და იტყუედ: «ვიდრემდის ხოლო ამას შრომასა შინა ვიყვნეთ და ზღუასა შინა ძჳრს ვიხილვიდეთ?» ხოლო ოდეს ღელვათა მათგან და ჭირისა გარე გამოჭდიან, ნადიერებით და სურვილითა მით ვეცხლის-მოყუარებისათა, რომლითა იგი შეპყრობილ არიედ, მერმეცა გული უთქუამნ მათ მისლვად ზღუადვე და შევრდომად მასვე ჭირსა, რეცა თუ პირველი იგი ჭირი დაავინწყდის.

ტრამედ ქუეყანის-მოქმედმანცა კაცმან რაჟამს იხილის წჳმათა მშობელთაგან ღრუბელთა ქუეყანად წჳმითა განმადღარი და მონიფებული და მონვენული თესლის დათესვად, ჳარნი შეაუღლნის და ქუეყანად განაღის და ურნატი დაალრმის; და მრავალ-გზის კლდოვანსაცა ჰბრძავნ და ფერჯითა ქვაჲ იგი აღმოაზულიის, და თავსა თჳსსა მიმოაქცევენ, და მერმე კუალად მიექცის და ოფლი დიდძალი ჳორცთა სდინ. შაშინ ქუეყანისა საქმესა მას საღმობისა და უჩინოებისა დედა უნესნ, ხოლო ოდეს მცირედ აყოვნის და ქუეყანად იგი მწუანვილითა შემოსილი, ვითარცა თავი თმითა, ეგრტთ სახედ ნაყოფიერად იხილის, მაშინ განიხარის და განმხიარულდის და გულის-თქუმითა აღივისის, და მრავალგზის და ზედასზედა გარე მოჰვლინ მას, და ნაყოფის-განმრყუნელსა მას, გინა დამაკლებელსა მას, აღმოჰვხურინ, ხოლო ნაყოფსა მას განაშუენებნ. შა მიერთგან ილოცავენ, რადთა მარადის ღირს იქმნეს მასვე შრომასა და ყოველთათჳს იმრთისა მიერ საზრდელად და საცხორებელად მოცემულად ქუეყანისა საქმესა მას იტყუნ და სხუათაცა დაარწმუნებნ.

ტწ უკუეთუ ვაჭარსა და ქუეყანის-მოქმედსა საწუთრომსა მის ფასისა, რომელი ქუეყ-

ანადვე მიიქცის და სიზმრისა უდარტს ჩუენგან წარვალს, ესრტთ გული უთქუამს, და რომელიმე ზღუასა იკადრებს, რომელი სიკუდილსა ესოდენ შორავნ, რავდენცა წყალთა მათგან ნავი ზედა მცურვალი, არამედ კეთილთაგანცა ქალაქთა შინადასათა ერთვე დაკლებულ არს და შრომითა მით არა დასცხრების, ვითარ უკუე გვღირს ჩუენ სიცონილი, რომელთა ესე საღმრთოხსა მისთჳს და საუკუნოხსა გული გვთქუამს, და უკუდავებასა თავთა თჳსთათჳს და სხუათათჳს საღმრთოთა წიგნთაგან დავიუნჯებთ და იმრთივ-სულიერთა მათგან ნერგთა ნაყოფსა შევიკრებთ, რადთა ნანდვლვე ამისნი მცენარენი ფრიად კეთილ და მსგავსად წერილისა მის გულის-სათქუმელ არიან უფროხსად და ქვათა პატიოსანთა მრავალთა, და უტკბილტს არიან უფროხს თაფლისა გოლეულისა! არამედ უკუეთუ ინებოთ, მერმეცა გარე შევლოთ ესე და ყუავილის სახედ გამოურჩიოთ კრებულსა ამას სარგებელად, რომელ იგი ამისგან ხოლო ვის საცნობელ არს, რამეთუ უკუეთუ მადლმან სულისა წმიდისამან ინებოს უაღრტსსა შევიდეთ და უახლტსი რადმე ამას მოვართუათ.

ქამეთუ იყო ოდესმე, ბუნებაჲ კაცთაჲ უმეცრებისა უფსკრულსა იქცეოდა ვითარცა ნავითა, და ნავისა მავლებელად ჰქონდეს ბოროტნი იგი ცოდვანი, რომელნი ყოვლით კერძო ჭირსა შეამთხუევდეს მათ, და გარემოხს ღელვათა მათ კერპთ-მსახურებისათა სიმაღლედ აღანევდეს და აერთა ღრუბლის სახედ შეჰფარვიდეს, არამედ ღელვანი იგი კერპთ-მსახურებისანი ცისა ხილვადცა არა უტეობდეს და იმრთისა ცნობისა წილ, კლდეთა უღალთა მიმართ მიაჭენებდეს და წყალთა მათგან ჭირსა უთქუმიდეს. შა ესე რად ესრე სახედ მიმოაქუნდა და ყოვლადვე წამსა შინა სიკუდილისასა მოელოდა, იმერთმან, რომელი ყოველთა კეთილთა მომცემელი არს, რომელმან არა არსისაგან ყოველივე არსად მოიყვანა, ვითარცა იხილა იგი ჭირსა შინა, რამეთუ მი-

\* ილ. აბულაძე, შრომები III, თბ., 1982. გვ. 97-106.

წევრულ იყო იგი დანთქმად და უფსკრულსა ცოდვისასა შთასვლად, შეინყალა იგი ვითარცა ხატად თვსად შექმნილი.

ჴოლო არა თუ იგი ოფლისა იმრთისა მონყალისაგან შეწვენასა რას ითხოვდა და შე-მცა-ისმინა მისი, არამედ იგი არა ხადოდა კაცთ-მოყუარებასა მისსა და არცა სინანულ-ითა მოიზიდვიდა წყალობასა, რამეთუ არღარა იყო მის თანა. შაშინ იმრთის-ცნობისა სიტყუა არცა ერთი რაჲ, და იმერთი ექმნა მოლუან კაცობრივსა, რომელი იგი ამას არღა ეცნა; და მკურნალ თვნიერ წოდებისა, რომელსა მან არა ხადა. ჯამეთუ ესე ჭეშმარიტად გამოუთქუმელი კაცთმოყუარებაჲ არს იმრთისაჲ. ჴოლო ვითარ ბუნებაჲ ესე ჩუენი არს მცირედლა და-მცავიდრე-ითქა მაშინ ვითარცა ჴელ-შეუხებელისა რაჲსმე თხემისაგან სანთლისა ბრწყინვალისა სახედ ჯერ იჩინა იმერთმან, რომელმანცა თავი თვისი თვთ მოიყვანა, ვითარცა იგი ფსალმუნთა შინა გუასწავებს ჩუენ გალობით შემასხმელი **ნავით** და იტყვს: «მწუერვალთა ხეთაჲსა არს გამოსავალი მისი და მიწვენაჲ მისი ვიდრე მწუერვალად მისადმდე».

ჯერ არს უკუე ნავითა სრულისაჲ მის ცოდ-ვათაგან ვითარცა არმურისაგან ბოროტად მი-მოღებულისა და მიმოტაცებულისაჲ, რომელსა არა სადა ვის ეხილვა მათ თანა იმრთის ცნო-ბისა ნავთსაყუდელი, არამედ მითხრობაჲ მათი იყო სერტყათათვს და ბომონთა და კერპთა შესანირავისათვს, და სისხლისა მოსაპკურებ-ელად, კაცთა დანყუდისათვს, ეშმაკთა და უფროსლა ეშმაკუელთა პატივის-ცემისათვს, რამეთუ ხელთ-საქმრად მათა იმერთთა გამო საქმწ იგი ოდენ კმა ეყოფოდა და ხუროე-ბით დლითი-დღედ ძელთა, ქვათა, იმრთად გამოსთლიდეს. ჴოლო ჩუენდა მრავალ-მეტყ-უელებაცა არს კუალად ამათთვს სიტყუად, რომელთათვს იგი ერთ-გზის და მრავალ-გზის წულილად გამოვთქუ, და ძეგლის სახედ ვამბ-ილოთ მათ, რომელთა შორის ეგევითარნი იგი იმსახურებიან; არამედ მის სახისათვს უკუე იმერთი, რომელი **საბრიელის** მიერ ეხარა ქალწულსა მას, მისვე ქორწილისა უმეცარსა მუცელსა წმიდისა **შარიამისსა** დაიბია, რომ-ლისა ქმრად სახელდებულ იყო **სოსებ**. ჴოლო თანაზიარ არცა მაშინ და არცა მერმე სადა ყოფილ იყო, და ჴორციელი სულიერი სულ-ითა მეტყუელითა და საცნაურიითა ამისგან

მოილო, და მეყსეულად მიდგომილებაჲ იგი გამოუთქუმელად გამოაჩინა.

ჴოლო ან მითხრობადმდე ჩუენდა საღმ-რთოჲსა მის თხრობისა ჯერეთ იგი, რომელ უცხოთა ენითა წოდებულ იყო ანგელოზსა მას სახელი უპირადწს მისსა, იგი გამოჩინებაჲ ვყოთ, რამეთუ მან გამოაცხადოს და უჭეშმარ-იტწსად განგვმარტოს მოლუანებისა მის დიდე-ბულისა პოვნაჲ. **შბრაელთა** ნაშობნი **საბრი-ელისსა** სახელსა მას მათა მიმართ, რომელთა იგი **შბრაელთა** ენაჲ არა იციან, იმრთად და კაცად აუნყებენ. ხას, რამეთუ ამას ჩუენ ეგრე გამოგვთარგმანებენ, ჳ წინაჲსწარცნო-ბისა ძალი, რამეთუ არა რაჲ ცალიერად ქმნა, არამედ წინაჲსწარმთხრობელად სახელიცა იგი ლიტონი ანგელოზსა მას უწოდა და უფროსლა დაუმტკიცა მის მიერ. ყოველთა გამოუცხადნა მის მიერ ქადაგებულისა მის შობისა ბუნებანი, რამეთუ აქა იწყებს **საბრიელ შარიამის** მიმა-რთ და იტყვს: «გიხაროდენ სახარულევანო». ნა შემდგომად სიტყვსა ამის აჩუენა ხოლო მეორედ დაქცევისა ზემოჲსა მის სიხარულითა გარდამატებაჲ, რამეთუ პირველი იგი სიტყუად ჩუეულად მოკითხვისა სახე არს, ხოლო მეორწ ესე წადიერებისა მონამედ გონებასა მას მი-იყვანებს, ვითარმედ «**ოფალი** შენ თანა», და ერთითა სიტყვთა ქალწული იგი იმრთის შე-მოსილად გამოაჩინა.

ჴოლო ჟამმან მან შემთხუეული იგი მად-ლი გამოაცხადა და სახწ იგი მუცლისა მის **შარიამისი** აღივსებოდა, რამეთუ უღირდავე ეგრე საქმესა მას, რაჲთა, საზღვარსა მასცავე ბუნებისასა ეგოს, რაჲთა საქმენი იგი სარწ-მუნო იყვნენ. შაშინ იჭუსა შედგა **სოსებ** არა სადა ყოფილისა მისთვს სახისა, ხოლო დალა-ცათუ კაცი იგი მართალ იყო, არამედ ესოდენ-თა მათ საკვრველებათა არავე წინაჲსწარმე-ტყუელ იყო. ნა ამისთვსცა ვითარ ჳგონებ მუცლისა მის ქალწულისა დამძიმებითა, იგი ვითარცა გუემითა იწყლა თავსა შინა თვსსა და მის ქალწულისაცა მიმართ ერქუასვე სამე მრავალ-გზის? ეჳა, ვითარი სასოებაჲ კეთილი მაქუნდა მე შენდა მიმართ, ხოლო ან ვითარ ჳგონებ? არა ვითარ-მე-მართალ შეგემთხ-ვა შენ კაცობრივი სახწ, რამეთუ მოცემულ არს შჯული მართალთა კაცთა წმიდათა და ბოროტის-უმეცართა დედათა თანა მკვდრ ყო-ფად? ხოლო არა ვითარმცა გულის-თქუმისა სანერტელი ჳმძღავრონ მათსა მას მეუღლე-

ბასა, არამედ შჯული ბუნებისა და სასოებად შვილის-სხმისა. **ნა** სიტყუად იგი იმრთისაა არს, რომელსა იგი იტყვს «აღორძნდით და განმრავლდით». **ჰენიცა** ეგრევე სახედ ყოფა მრწმენა და მით მოყვანება შენი თავს ვიდევ, **ჰ** ქალწულო თხოილო!

**ჰოლო** შემდგომსა მას არღარა შევსძინებ სიტყუად, არამედ ვითარ ვჰგონებ, ეგვეითარსა მას სასოებასა შე-ვის-ხუდი. **ნა** მუცლისა იგი სიმძიმჱ წამებს, რამეთუ ქალწულებისა ჩუელებასა თანა წარსრულ არს. **ჰოლო** ან მე გამეშორე და შიში განიშორე შენგან, და იზარდებოდე შენ ტკბილითა, რამეთუ დუმილითა დავფარო საქმჱ ესე და არცა ერთი რად გმობად შეეხოს შენსა მაგას მადლსა.

**ნ** შეილნო, საყუარელნო, უკუეთუ სათნო გიჩს, მერმეცა ანგელოზისა მის სიტყვთა მითხრობასავე მივიქცეთ, რამეთუ ფრიად დაკრვებულ იყო ქალწული იგი თქუმათა ზედა, და გონებითაცა განიზრახვიდა, ძაძსა მას მათსა ზედამინევენულ იყო. **შაშინ** **საბრიელ** ნუგეშინის-სცემდა მას და ამას ეტყოდა: «ნუ გეშინი **შარიაშ**, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე იმრთისა, და აჰა ეგერა შენ მუცლად ილო, და ჰშვე ძჱ, და უწოდიან სახელი მისი **ესე**. **ნა** იყოს იგი დიდ და ძჱ მალლის ენოდოს მას. **ნა** მოსცეს მას **აფალმან** იმერთმან საყდარი **ნავითის** მამისა თვისისა. **ნა** სუფევდეს იგი სახლსა ზედა **საკობისსა** საუკუნოდ და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრულ»(ლუკ.1,30-33).

**ჰ** საკვრველებად, რომელსა საზომი არა აქუს. **ჴუნებით** მამად არს იმერთი და არა მადლით, ჭეშმარიტად უკუე იქადაგა მუცლად მღებელსა მას. **ნა** რეცა თუ დაამტკიცებს ანგელოზი იგი და საქმით უჩუენებს მას, რომელი იგი ფსალმუნთა შინა პირველითგან და წინაით მისთვის წერილ არს. **ჰე** დავდეგ მეუფედ მის მიერ ზედა **სიონსა** მთასა, მთასა წმიდასა მისსა, თხრობად ბრძანებასა **აფლისასა**. **აფალმან** მრქუა მე: «ძჱ ჩემი ხარი შენ და მე დღეს მიშობიე შენ?»(ფს.2,7) **ჰ**, საკვრველებისა ძალი, რავდენ დიდ არს და დიდებულ!

**ჰოლო** კუალადვე მივექცე მერმეცა ძალსა მას **საბრიელის** მიერ თქუმულთა, რამეთუ ვინმე სადა ვინ იხილა უწინარჱს შობისა იმრთისა მიერ, და სახელითა გამოჩინებულ და ესრჱთ ნათლად გამოსრული, სამეუფოდ ცხებული და მაცხოვრად ნათესავისათვს კაცთაჲსა სახელდებული, რომლისა მთავრობად

იგი უფროსლა დაუსაბამოდ და სამარადისოდ მის თანავე ქმნულ იყო და **სოვანეცა**, რომლისათვს წერილ არს, ვითარმედ «ნაშობი დედათა უფროს ამისსა არა ვინ არს». უწინარჱს შობისა არცა ერთი სახელისა ღირს იქმნა, არამედ **ხაქარიაცა**, ამისმან მამამან, ჴელის წერთა უფროსლა ვიდრე არა ენითა შემდგომად შობისა დასდვა მას ესე. **ჰამეთუ** ჴმად შეპყრობითა იყო საკვრველებათა მათგან, რომელნი უწინარჱს მუცლად-ღებისა ჩუენებულ იყვნეს. **ნ** უკუე იმერთი იშვების დედაკაცისაგან და ხატი მონებისა მოაქუს და ჩუენისა ცხორებისათვს უფროსლა უკუდავებისა მოლუან გუექმნეს.

**ნა** შემდგომად შობისა სახუეველითა წარიგრაგნების, და ბაგასა მიწვინების ყოვლისა სოფლისა **აფალი**. **ნა** რომელი ცათა და ყოველსა განავსებს, პირუტყუთა საზრდელისა შთასადებელსა დაეტევების. **სე**, ამას სამე არუენებს, დამბადებელ ყოფად არს იგი პირუტყუთებრისა და საცხოვართ-სახისა მის ცხორებისაგან და უფროსლა მერმე წამართ, საზრდელისა მის ანგელოზთ-მთავართაჲსა მოცემად, რამეთუ იტყვს: «პური ანგელოზთაჲ ჴამა კაცმან». **სანმიახლეთ** მე ჴსენებითა ამით **ნდამი**. **ჰ** ურწმუნოთა სიმრავლეო, გრწმენედ თქუმული ესე და მჱსნელად და განმაქარველად მონათა მათთვის პატიჱთა ხილულსა ამას უწოდეთ. **ნდამ** ურჩებითა მით კაცთა სიკუდილის მიზეზ ექმნა და სამოთხისაგან შიშუელი გამოვარდა, და ლელჱსა ფურცლითა შეილთ-სხმისა მიზეზნი იგი გონიერად დაიფარნა, ხოლო ჩუენმან ამან **ნდამ**, რომელ არს **ჴრისტე**, რომელმანცა შექმნა პირველი იგი **ნდამ**, რამეთუ წერილ არს, იყო პირველი იგი **ნდამ** საშუმინველა ცხოველად, ხოლო უკუანაჲსკნელ ესე **ნდამ** სულად განმაცხოველებელად. **შამისა** ჩუენისა ურჩებად იგი განიკურნა და ტანჯვად იგი, რომელ მის გამო ჩუენ ზედა მოწვენულ იყო, განაქარვა იმერთმან. იმერთი იყო და კაც იქმნა, და პირმეტყუელისა მისგან სამოთხისა გამოვიდა. **სე** არა იგი არს, ქალწულისაგან მუცლისა ნეფსით გამოსლვად მისი, და ლელჱსა ფურცლისა წილ სახუეველთა შინა დაიფარვის, და საცნაურსა მას ცათა თანა განგვლებს ჩუენ სამოთხესა, და უკუდავებად ნეფსით მიგვნეს ჩუენ, რომლისათვს შჯულისმდებელი **პავლეცა** ქადაგებს და იტყვს: «რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი, და კაცისა

მიერ აღდგომად მკუდართად. **წითარცა** იგი **რდამის** მიერ მოწყდებიან, ეგრეცა **წირისტვს** მიერ ყოველნი ცხოველ იქმნებიან»(1 კორ.15,21-22), და კულად «ვითარცა იგი შევიმოსეთ ხატი მიწისაგანისა, შევიმოსოთ ხატი იგი ზეცისაგანისა(ცა მის)»(1 კორ.15,49).

ჩას, რამეთუ ქუეყანად-მზიდველისა ამის და მძიმისა ცხორებისაგან გარემომაქცევს ჩუენ, რამეთუ მიწისაგანისად სამართლად სახელ ედების ამას. **ქოლო** ჰნებავეს ჩუენი, რაათა საღმრთოსა მას და ანგელოზებრსა ცხორებასა მივისწრაფოთ და ზეცისა მოქალაქე ვიქმნეთ. **ქამეთუ** პირველი იგი **რდამ** ყოვლადვე თავსა შინა თვსსა გამოისახა, და მეორედ **რდამის** წილ თავი თვსი ჯორციელად სოფელსა შინა კაცთა გამოუცხადა. **წა** ესეცა ფრიად შეეტყუების გალობით შემასხმელისა **წავითის** დაწერილსა მას, ვითარმედ: «შესანირავი და მსხუერპლი არა ინებე, ხოლო ჯორცნი დამამტკიცენ მე, საკუერთხი ცოდვათათვს არა სათნო იყავ. **წამინ** ვთქუ, – ესერა მოვალ, თავსა წიგნთასა წერილ არს ჩემთვს. **ყოფად** ნებისა შენისა ვინებე»(ფს.39,7-9), რამეთუ პირველი იგი წერილი აღთქუმისა, რომელი იგი უკუანაქსნელ იქმნა, **იმრთისა** მიერ აქუნდა დასაბამი და მისა მიმართვე მიქცევად იყო, ესე იგი არს, შემოქმედისა მის სიტყუად, რამეთუ ორივე იგი მის მიერ და მისა მიმართ სრულ ყო, და ესრწთ ჩუენ ამას გუასწავებს. **წა** რამეთუ პირველთა მათ სიტყუათა, რეცა თუ გამოუჩინებელადვე იწმევდა, შე-უკუე-ჰგვანდა, რაათამცა გამოსპეტაკნეს და გამოცხადნეს **წირისტვს** **იმრთისა** ჩუენისა მოსლვად. **ქამეთუ** ამასცა ქადაგი იგი ეკლესიათად წიგნსა შინა თვსთა იტყვს: «იესუ **წირისტე** გუშინ და დღეს, და იგი თავადი არს საუკუნედ მისა», ვითარ მგონიეს, ორსავე, მას აღთქუმასა თავისა თვსისა ყოფილად აუნყებს; რამეთუ ჰგიეს უკუდავად მისგან და მისა მიმართ, და მიიქცევს და შეამსგავსებს.

**წრამედ** მეციით მე შენდობად, რამეთუ მცირედ რაამე დამირჩა მოგუთა მათთვს, რამეთუ იგინიცა არა მცირესა სარწმუნოებასა მოსცემენ თქუმულთა მათ. **ქამეთუ** ყო ოდესმე წმიდამან კრებამან **სპარსეთი** და **ბაბილოვნელთა** სამეუფოდ დაუტევა და აქამოემართა. **ქოლო** წინამძღურად ვარსკულავი იგი აქუნდა და გზისა სლვასა იგი განუგებდა მათ. **ოდესმე** სავანედ მიანევდა, ოდესმე კულად გზისა სლვასა მას ასწრაფებნ და

თითო სახედ უჩუენებდა მეუფესა მას, რომელსა იგინი დიდითა გულს-მოდგინებითა ეძიებდეს და ჯერი ერთი მი-ცა-ე[...].

**ქოლო** მე ესრე ვჰგონებ, რამეთუ ვითარ იგი მაშინ სურვიელ იყენეს მოგუნი იგი შობილისა მისგან მეუფისა ხილვად, ზედას-ზედა ჰკითხვიდენ თანამავალთა მათ თვსთა, გინათუ სხუადცა ვინ შეემთხუეოდა. **წა** **სურიასტანსა** გამო[...].**ქუ** ზელდეს. **წა** თუ ოდეს[...]**და** იხილონ იგი, მასცა გამოეძიებდენ და ვითარცა თვ[...]**წინამძღურსა** **ჰრისხვიდეს** გულის-წყრომით. **წა**ღათუ მათ მიერსა მას თქუმულსა არა სცნობდეს, არამედ და-ვე-მტკიცებულ იყენეს ძუელსა მას დაწერილსა, რომელსა იტყვს: «მე უცხო თესლნი დამემორჩილნეს»(ფს.59,10), რამეთუ სლვითდა თაყუანის-ცემით ღირს იქმნეს მას, რომელი იგი შობილი **იმრთისა** სიტყუად პირველად მათ მოწირაფეს წარმართთაგან და ეშმაკთა ნატყუნავისა მისგან [...]**ა**, და ვითარცა ნაავრებისა მის უმთავრწვსთა. **წა** იტყვს [...]**ეს** პირველ-ნაყოფთად უწინარწვს ძღუენი ამათ პატივ სცეს ენმანუელს ვითარცა[...]**და** მეუფესა და მის თანასა მოსიკუდიდსა. **შოართუეს** ოქრო, გუნდრუკი და მური, რამეთუ წერილ არს: «**პატივ** ეც **ოდელსა** შენთაგან მართლად ნაშრომთა. **წენირე** მისა შენგანთა პირველთა ნაყოფთა სიმართლისათა»(იგ.3,9). **წა** ფსალმუნსა შინა იტყვს, ვითარმედ «ყოველთა [...]**არიან** გარემო მისა, შეწირონ მისა ძღუენი», საღმრთოდა ამის სიტყვსა, რომელი მოწევნადსა მას ვითარცა მოწვენულსა გვთხრობს, და ზოგად საჩუენებელსა შინა გვჩუენებს ჩუენ მას, რომელ იგი მრავლისა ჟამისა შემდგომად ყოფად იყო.

**წა** რადასათვსმე მოგუთა მათ და არა სხუასა ვის შობისა მისთვს ვარსკულავი ეუნყა **იმრთისა**? რამეთუ ამისთვს სამე, რაათა უფროს გონებისა საქმისა მისთვს სხუათა მიმართ ყოველთა ქადაგად ქეშმარიტად გამოუჩნდენ, და უცხოდა მის რჩულისა მსახურთა მიიღეს ყოველი ურწმუნოებად და იჭვ სიტყვთა მომადლებისადათა, და რაათა უფროსლა აღესრულოს პირველითგან თქუმული წინამწარმეტყუელისა, რომელსა იტყვს: «**იხილონ**, რომელთა არა თხრობილ არს მისთვს, და რომელთა არა ასმიეს, გულისხმა ყონ»(ეს.52,15). **წროდ** გულისწყრომით გამოჰკითხვიდა მათ და რისხვთ ალატყდა, და მრავალნი მწოვარნი მოსრნა მათ გამო.



ქალწულისა და იმრთის-მშობელისა მიიხუნა ჯორცნი და შუვამდგომელ იქმნა სულითა მით ცნობილითა შორის იმრთეებისა და ჯორცთა სიმძიმისა. **წა** ესრტო განყოფილი იგი შეამტკიცა ორთავე მიმართ შუვამდგომელისა მის თვსობითა ყოვლადვე. **ყოველთათს** იქმნა ვითარცა ესე ჩუენ თვნიერად ცოდვისა, ამისთვის უკუე სამართლად იმრთად, სრულად მასვე ყოფად და ცნობილად აღვიარებთ, რამეთუ შეყოფითა მით ორისა მის ბუნებისა გინა არსობისა ძლიერებისა მის ერთობად იგი იქმნა მისვე ქალწულისა მუცლისაგან შეურწყუველად და განუყოფელად ყოვლითურთვე დაადგრა, რომლისათს სამართლად, ესე იგი არს ჭეშმარიტად, წმიდასა მას ქალწულსა იმრთის-მშობლად აღვიარებთ, რამეთუ საუკუნეთა უწინარწსმან მან სიტყუამან და ჭეშმარიტმან იმერთმან მისგან ჯორცნი შეისხნა და კაც იქმნა.

**ჴოლო** ესე რად ვთქუათ, არა თუ ვითარმცა იმრთისა სიტყუამან დასაბამი მოილო, არამედ რამეთუ ჯორცნი მისგან შეისხნა და მსგავს თვისისა მის არსებისა ჩუენიცა იგი გონებათავისა თვისისა უქცეველად შეაერთა და იქმნა კაც, და სახელ ედვა ძედ კაცისად, და რათურთით ძლით თვისისაგან იმრთეებისა არა იცვალა, არამედ არცალა კაცად პირველად შეიქმნა მუცელსა მას შინა წმიდისა მის ქალწულისასა. **წა** ესრტო გარდამოჭდა მას ზედა სიტყუად იგი, რამეთუ არა თუ იმრთისა შობად ესე არს, არამედ შობად მოსლვად მსგავსად თქუმულისა მის დიდისა **ღრიგოლისი**: რამეთუ იგი, რომელი მამისა თანა სამარადისოა არს და თანაარსი, გუეზიარა ჩუენ ჯორცითა და სისხლითა, ვითარცა იტყვს წმიდა მოციქული: «ჩუენი ყოველივე თავს იდვა თვნიერ ხოლო ცოდვისა დიდითა მით კაცთ-მოყუარებითა თვსითა, რომელი აქუს საღმრთოსა მას მისსა ბუნებასა». **ჴე-რადმე-ენო** ჯორცთა იგი იმრთეებად, რამეთუ უვნებელ არს იმრთეებად, ვითარცა იგი უსხეულო. **წრამედ** ჩუენთს ჯორცითა ივნო, ვითარცა იგი მოციქულთა მთავარი იტყვს: «**ჴრისტემან** რად ივნო ჩუენთს ჯორცითა», არა თქუა ვითარმედ იმრთეებითა, რამეთუ იმრთეებად ჭეშმარიტად უვნებელად ჰგიეს ვითარცა წინაწარმეტყუელებით წერილ არს, ვითარმედ «მე თავადი იგივე ვარ და არა შევიცვალო».

**წნ** უკუე იმრთად ჭეშმარიტად ჴრისტე ვიცით და მისივე ვთქუათ ჴრისტეს ვნებად და

იმრთისა ვნებად ჯორცითა. **ჴამეთუ** არა თუ სხუად ვინმე ჴრისტე თვნიერ მისა, რომელი იგი კაც იქმნა, იმრთისა სიტყუად ვიცით, არამედ ერთი და იგივე, რამეთუ ესევე კაცთა შორის იქცეოდა და სიკუდილი ჩუენისა ცხორებისათს თავს იდვა, რადთა ძალი მტერისა შემუსროს და ჩუენ ზედა მონევენულთა მათგან შეცოდებათა გამოგვწსნენს, და იმერთსა და მამას დააგოს ჩუენი ესე ბუნებად. **წმისთვის** უკუე სამართლად უფლად და მაცხოვრად და იმრთად ჭეშმარიტად ამას აღვიარებთ, თანაარსად მამისა იმრთეებითა და თანაარსად ჩუენდა მომართ მასვე კაცობითა. **წაღათუ** ორთა ბუნებათა განუყოფელად ვიცით იგი არსობითა, ერთობად შეურწყუველად და განუყოფელად ჰგიეს ყოვლითურთ ერთითა პირითა და ერთითა ძალითა, რამეთუ ერთი იგი ორთა მათგან არს და ერთისა მისგან არიან ორნივე იგი, ვითარცა იგი იტყვს წმიდა **ღრიგოლი**. **ჴოლო** ბუნებათა მათ თითოეულებასა არა სადა აღილებს, შეერთებისა მისთვის უფროსლა გამოაცხადებს თითოეულებასა მას ორთა მათ ბუნებათასა, და ერთად პირად და ერთად ძალად შეჰყოფს. **წრა** ორად პირად განვჰყოფთ, გინა განვსწვალებთ, ნუ იყოფინ, რამეთუ არა ჯერ არს, ვითარმცა ვინ განაშორა კაცებად იგი იმრთეებასა, არამედ ერთსა და მასვე ძესა, მხოლოდ-შობილსა სიტყუასა, იმერთსა და **აფალსა** **ესე** ჴრისტესა არა სადა ვიტყვთ, და მის თანა აღვიარებთ და გურწამს, და არცალა იმრთეებისა მისისა და კაცებისა ერთობად იგი ღირსებით, გინა პატივით სწორებით, გინა წარმომატებითა. **ჩუთუ** სხვსა რადსმე ზიარებასა ანუ ვითარმცა იგი ყოველსა შინა მსგავსად უღმრთოხსა მის **ჩისტორისა** ყოფილად გურწამს, ნუ იყოფინ! და არცალა კუალად ქცეულებასა, გინა საუცრებასა, შემოვიღებთ მსგავსად ხენეშად მსახურისა მის **ვეტქოსისა**, ნუ იყოფინ!

**სადა** უკუე განყოფად და ქცეულებად არა შეეხების, მუნ საცნაურ არს კეთილად, რამეთუ არსობისად მის ერთობად იგი ცოცხლად ჰგიენ და დამარხულ არნ ბუნებათა მათ თითოეულებასა მას შინა, დაღათუ არსებით ერთობად იგი იმრთეებისად და კაცებისა მის მისისად იქმნა. **წრამედ** შეურწყუველადვე უფროს ბუნებისა მოლუანებად იგი მისი დამარხულ არს. **ჴამეთუ** ერთი არს **აფალი** და უწინარწს ჯორცთა შესხმისა, გინა თუ განკაცებისა მის მისისად,

და ამისა შემდგომადცა იგივე არს ჭეშმარი-  
იტად, რომელი იგი მამისა თანა და სულისა  
წმიდისა თაყუანის იცემების და თანა იდიდებ-  
ის. **წმასვე** საღმრთონი წიგნი გვთხრობენ და  
ამასცა იმერთ-შემოსილნი ეკლესიისა მოძღუ-  
არნი ქადაგებენ.

**წმათ** ყოველთათჳს თქუენცა, საყუარელ-  
ნო, გლოცავ, რაფთა გვესენნენ ესენი, არა თუ  
რაფთა კედელთა გინა ზღურბლთა სახლთა  
თქუენთასა გამოჩინებულად გამოსწერნეთ,  
არამედ რთა დანოლასა თქუენსა და აღდგო-  
მასა და გარე გამოსლვასა და კრებულისა  
საქმესა, ანუ თვისისა თავისა საქმესა, რამე-  
თუ ფსალმუნისა ჟამსა და ყოველსა ადგილსა  
ფრიად კეთილს არს მოქსენებად იმრთისა და  
მართლ-დიდებისა მოძღურებისა იმრთის-  
მოყუარისა სულისადა.

**წა** ამათ თანა ესეცა გვესენენ, რომელსა  
ესე გეტყვ: რამეთუ ესეცა შემძლებლვე არს,  
რაფთა წინამძღუარ ექმნეს სულთა თქუენთა  
ცხორებად კერძო. **წავასხებდეთ** ურთიერთას  
კაცთ-მოყუარებასა, რამეთუ ყოველი კაცი  
ამისა მოქენე ვართ. **წუ** ვინ ჩუენგანი ქედ-  
მალლოვინ გლახაკისა მიმართ სიმდიდრისა  
სასოებითა, რამეთუ ერთი ბუნებად არს ჩუენ  
ყოველთადა, ხოლო საფასვ სიტყვსა უდარვს  
ერთისაგან ერთისა მივალს და მიეცვალების.

**წწ** უკუე ვერიდნეთცა სიტყუათა მწარე-  
თა, რომელი ვითარცა ისარი მოყუსისა მიმა-  
რთ განეტყორცის, რამეთუ მალე არს ენა  
ცოდვილისა მიმართ და მარჯუე. **წმისთვსცა**  
თანამდებ არს, უკუეთუ ცუდისა სიტყვსათჳს  
საშჯელი მიცემად არს, საყუარელნო, რავდენ  
უფროფს საქმეთათჳს ბოროტთა მიგუეწადოს  
პატიჟი! იყავ **წუ** უკუე თითოეული მსაჯულ  
თვსთათჳს ცოდვათა და ნუმცა გამოიწული-  
ლავს სხუათასა, რაფთა ესრვთ ვინმე იპოოს  
მართალი; რამეთუ რომელმან თავი თვისი თვთ  
განიკითხოს, იგი სხვსაგან არა განიკითხოს.  
**წაიბანენით** ჳელნი თქუენნი, საყუარელნო,  
გლახაკთა მიმართ ქველის-საქმითა, და **წუ**  
ხოლო წყლითა, რამეთუ რომელი იგი თქუეს,  
ვითარმედ «არა ჳერ არს უბანელითა ჳელითა  
სინმიდესა მას შესლვად», მე გონებასა ესე  
მომივდის, რომელი შეუდგენ საქმესა ბუნებასა,  
ეგრევე იყოს. **წამეთუ** არა დიდების-მოპო-  
ვნებისათჳს არს თქუმული ესე, არამედ ზეგარ-  
დამო ბრძანებად ესე მოცემულ არს ჩუენდა,

ამათ გლახაკთა ძმათა ჩუენთათჳს, რამეთუ  
არა ჳერ არს, ვითარმცა სირცხვლ გვწნდა  
ამათი ესრვთ სახელის-დებადა. **წამეთუ** შემო-  
ქმედსაცა ესრვთ შეურაცხიან და მათსა მას  
კეთილსა თავისა თვისსად იჩინებს და ესრეთ  
იტყვს: «ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ რავდენი  
რაფ უყოთ ერთსა მას მცირეთაგანსა, იგი მე  
მიყოთ»(მთ.25,40), რამეთუ იგივე ჳორცნი ასხ-  
ენ, რომელნი ჩუენდა ამასვე ზოგადსა აერსა  
მიიღებენ. **წწ** უკუე რაჟამს ვიხილნეთ იგინი  
წინაშე წმიდათა მათ ბჭეთა მდგომარენი, სა-  
ბანელისა წილ მათა მოვიდეთ, მათა და, რაფ  
გუაქუნდეს, მივსცემდეთ მათ. **წა** ესე რომელ  
მნიკული ცოდვისადა არს ჩუენ თანა ამით განვ-  
რცხნეთ, და სინმიდესა მას შევიდეთ, რამეთუ  
კადნიერებად ამით უფრო გუაქუნდეს წინაშე  
მისსა წარდგომად და ლოცვად, ვიდრელა არა  
თუმცა ყოველი გუამი დაგუებანა, რამეთუ  
წერილიცა ამასვე გუასწავებს. **წრა** თქუა, ვი-  
თარმედ «ჳელნი დაბანილნი და სამოსელი სპე-  
ტაკი», არამედ გული წმიდად მოგუცეს ჟამსა  
ლოცვისასა, რომლისა სახარებასა შინა **წრის-  
ტე** იმერთი ჩუენი **წბრაელთა** მოძღუართა მათ  
აყუედრებს და ეტყვს: «თქუენ ფარისეველნი  
გარეშვს სასუმელსა და პინაკსა მოსწმიდით,  
ხოლო შინაგან თქუენსა სავსვ არს ნატაცებითა  
და სიმწართა»(ლუკ.11,39). **წა** მოციქულიცა  
წიგნთა შინა იტყვს, ვითარმედ «ყოველივე წმი-  
და არს წმიდათათჳს, ხოლო შეგინებულთათჳს  
და ურწმუნოთა არა რაფ წმიდა არს»(ტიტ.1,15).  
**წოლო** მომეცინ მე იმერთმან, რაფთა წამართ  
მსგავსსა თქუენსა ღირსად ვცხონდებოდი, და  
მერმეცა მას დღესა ამის კრებულისათჳს გვრგ-  
ვნი შევთხზა. **წოლო** თქუენ იმერთმან ღირს  
გყვენინ რაფთა ჩემ მიერ გესმოდის და აღთქუ-  
მულსა მას ჳყოფდით, და მოილოთ მოტევებადა  
ცოდვათადა.

**წა** თქუენ შორისცა აღესრულოს და აღთქუ-  
მულსა მას ჳყოფდეთ, და მოილოთ ცოდვათა  
მოტევებადა და თქუენ შორისცა აღესრულოს  
მოციქულისა იგი თქუმული, რომელსა იტყვს:  
«ღმერთმან მშვდობისამან წმიდა გყვენინ  
თქუენ ყოვლითა სრულებითა და სიცოცხლ-  
ითა, სული თქუენი, საშუმინველი და გუამი  
უბნოდ მოსლვასა მას **ღფლისა** ჩუენისა **წესუ**  
**წრისტვსსა** დაგმარხენინ»(1თეს.5,23) ოხითა  
წმიდისა და დიდებულისა იმრთის-მშობელისა  
მარადის ქალწულის **წარიამისითა**.